

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა

III კვარტალი, 2020

მოკლე შეჯამება

- მესამე კვარტლის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა -3.8 პროცენტი
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის განახლებული ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოსთვის 2020 წელს: -5 პროცენტი
- წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 4.8 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 5.2 პროცენტი
- ექსპორტის შემცირება წლიურად 5 პროცენტით
- იმპორტის შემცირება წლიურად 12.8 პროცენტით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის შემცირება 96.2 პროცენტით
- რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით შემცირება 8 პროცენტამდე



სარჩევი

რეალური სექტორი	4
ეკონომიკური ზრდა	4
დასაქმება და უმუშევრობა	6
ფასების დონე	7
რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა	9
საგარეო სექტორი	11
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	11
საგარეო ვალი	12
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	12
საგარეო ვაჭრობა	13
ტურიზმი	14
ფულადი გზავნილები	15
სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება	16
გაცვლითი კურსი	17
ფისკალური სექტორი	18
ნაერთი ბიუჯეტის შესრულება	18
საქართველოს სახელმწიფო ვალი	21
მონეტარული სექტორი	22
კერძო სერტორის ლარიზაცია	22
სესხების მიმოხილვა	23
დეპოზიტების მიმოხილვა	23
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	25
საპროცენტო განაკვეთები	26

რეალური სექტორი


ეკონომიკური ზრდა

2020 წლის სექტემბერში, წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა -0.7 პროცენტი. ბოლო პერიოდში დაფიქსირებული კლება გამოწვეულია ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო. 2020 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, კლება დაფიქსირდა ტრანსპორტის და დასაწყობების, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების, ხელოვნება, გართობა და დასვენების, მშენებლობის, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორებში. ხოლო ზრდა გამოვლინდა დამამუშავებელი მრეწველობის, სამთომომპოვებითი მრეწველობის, ვაჭრობისა და საფინანსო საქმიანობის სექტორებში. ამასთან, აღსანიშნავია რომ სექტემბერში ყველაზე ნაკლები ეკონომიკური კლება დაფიქსირდა ბოლო 2 კვარტალში. მესამე კვარტალში რეალურმა ზრდამ საშუალოდ -3.8 პროცენტი შეადგენა.


2020 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა -12.3 პროცენტით განისაზღვრა. მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა მშენებლობის (-24.5 პროცენტი წ/წ), გართობისა და დასვენების (-24.1 პროცენტი წ/წ), ვაჭრობის (-13.2 პროცენტი წ/წ), ინფორმაციასა და კომუნიკაციის (-14.7 პროცენტი წ/წ), და მრეწველობის (-10.3 პროცენტი წ/წ) სექტორებში. პანდემია ნაკლებად აისახა სოფლის მეურნეობაზე (+4.7 პროცენტი წ/წ).

წლის დასაწყისში მშპ-ის ზრდის მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა მოხმარება, რომლის წლიური ზრდა შეადგენდა 8.5 პროცენტს, ხოლო მისი წვლილი მთლიან ზრდაში უტოლდებოდა 6.4 პროცენტს. იმის მიუხედავად, რომ 2019 წელს ექსპორტის ზრდა მნიშვნელოვნად აჭარბებდა იმპორტის ზრდას და დადებით გავლენას ახდენდა ეკონომიკურ ზრდაზე, პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების გამო, წმინდა ექსპორტის წილმა 2020 წლის მეორე კვარტალში უარყოფითი წვლილი შეიტანა მთლიან ზრდაში, -6.4 პროცენტი. ასევე შემცირებულია მოხმარების და ინვესტიციების კომპონენტების წვლილი ზრდაში, -3.5 და -2.6 პროცენტამდე, შესაბამისად.


დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა




დიაგრამა 2: სექტორების ზრდა, 2020 კვ II



დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია




დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2020 წლის დასაწყისში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო, მსოფლიოსა და რეგიონში შემცირებული ეკონომიკური აქტივობის ფონზე, მოსალოდნელია ეკონომიკური შენელება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების მიხედვით, 2020 წელს ეკონომიკური ზრდა გახდება უარყოფითი და გაუტოლდება -4.9 პროცენტს და -5 პროცენტს, შესაბამისად. ეკონომიკა დაიწყებს გაჯანსაღებას 2020 წლის მეოთხე კვარტალში და პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს ეკონომიკური ზრდა გაუტოლდება 5 პროცენტს, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შეზღუდვების მოხსნით და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებით. თუმცა, ნებისმიერი ტიპის პროგნოზი აღნიშნული ვითარების ფონზე, ექვემდებარება დიდ გაურკვევლობას, რაც უკავშირდება არსებული პანდემიის ხანგრძლივობას. სსფ-ის განახლებული პროგნოზის მიხედვით, 2021-2025 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 5.5 პროცენტი იქნება, რაც აჭარბებს რეგიონისა (3.6 პროცენტი) და ევროზონის (2.7 პროცენტი) საშუალო მაჩვენებელს აღნიშნულ პერიოდში.

მოსალოდნელია, რომ 2020 წელს რეგიონში შემცირებული ეკონომიკური საქმიანობის ფონზე შემცირებული ექსპორტი, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება და ფულადი გზავნილების კლება გააფართოვებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მშპ-ს 9.2 პროცენტამდე. ამავე დროს, გლობალური რისკების ზრდა შეამცირებს კერძო ფინანსურ ნაკადებს და გადაავადებს ინვესტიციებს, რაც დამატებით შეამცირებს მშპ-ს ზრდის ტემპს. გახანგრძლივებული ეკონომიკური შენელება მოითხოვს ფისკალურ სტიმულებს და მონეტარული პოლიტიკის მოქნილობას, ხოლო საბაზრო წნეხის საპასუხოდ უნდა შენარჩუნდეს გაცვლითი კურსის მოქნილობა და მოხდეს რეზერვების გამოყენება, რომელსაც თან ახლავს პროაქტიული ზომები ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ხელისუფლების მიერ მობილიზებული იქნა დონორების დახმარება გარე და ფისკალური ბუფერების შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს შოკის საპასუხო ღონისძიებების ჩატარებას და ნდობის გაძლიერებას რისკების შესამცირებლად.




დასაქმება და უმუშევრობა

2020 წლის მეორე კვარტალში უმუშევრობის დონემ 12.3 პროცენტი შეადგინა, რაც 0.4 პპ-ით მეტია წინა კვარტალის მნიშვნელობაზე. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 19.7 პროცენტს (+2.3 პპ წ/წ), ხოლო სოფლად - 4.7 პროცენტს (-0.3 პპ წ/წ). უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა. 2020 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 63.7 პროცენტი შეადგინა. 2020 წლის მეორე კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 11.8 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 12.7 პროცენტი.


COVID-19 ეპიდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის შემცირების გამო, რომელმაც 2020 წლის მეორე კვარტალში შეადგინა -12.3 პროცენტი, დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 1.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირებულია დასაქმების დონე. აღნიშნულის შედეგად, პროდუქტიულობა (რეალური გამოშვების შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობაზე) წლიურად შემცირდა 10.6 პროცენტით. ასევე 2.5 პროცენტით შემცირდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2020 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით შეადგენს 1150 ლარს.

დიაგრამა 6: უმუშევრობის დონე



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 7: პროდუქტიულობა და დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (წლიური ცვლილება, %)




წყარო: საქსტატი

ფასების დონე

მიმდინარე პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკაზე ხდება მნიშვნელოვანი წნეხი როგორც მიწოდების, ასევე - მოთხოვნის მხრიდან. COVID-19 ვირუსის გავრცელების გამო არსებული შეზღუდვები ართულებს და ანელებს წარმოებას, რაც იწვევს დანახარჯების ზრდას, ეს კი აისახება საბოლოო პროდუქტის ფასზე. ამასთან ერთად, არსებული ლარის გაუფასურება ზრდის იმ ფირმების ხარჯებს, ვისაც გააჩნია სესხი უცხოურ ვალუტაში, რაც იმპორტირებულ ინფლაციასთან ერთად განაპირობებს ინფლაციის ზრდას. ამავე დროს, პანდემიასთან დაკავშირებული სოციალური დისტანცირების ზომების და შემცირებული ეკონომიკური აქტივობის გამო მცირდება როგორც ადგილობრივი, ასევე - უცხოური მოთხოვნა, რაც განაპირობებს ინფლაციის შემცირებას. შესაბამისად, საბოლოო ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ფაქტორის გავლენა იქნება დომინანტური. 2020 წლის დასაწყისში შეინიშნებოდა 2019 წლის ბოლოს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად წლიური ინფლაციის შემცირება 7 პროცენტიდან (2019 წლის დეკემბერი) 6.1 პროცენტამდე (2020 წლის მარტი). 2020 წლის მესამე კვარტალში კი წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 4.8 პროცენტი. აღნიშნული ზრდა ასევე ასახულია საბაზო ინფლაციის (თამბაქოს გარეშე) ზრდაში, რომელიც მესამე კვარტალში გაუტოლდა 5.2 პროცენტს. საბაზო ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი მთლიან ინფლაციასთან შედარებით, გამოწვეულია ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებითა და ფირმების საოპერაციო ხარჯების ზრდით.


ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის შემცირების პროგნოზის გათვალისწინებით, რაც ეყრდნობა იმ მოლოდინს, რომ მოხდება მიწოდების ფაქტორების განეიტრალება და ერთობლივი მოთხოვნის შემცირებით ფასების შემცირება, მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი შემცირება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, ნომინალური გაუფასურება შეინარჩუნებს ინფლაციურ ზეწოლას 2020 წლის განმავლობაში, მაგრამ სასაქონლო ფასების შემცირება, შიდა მოთხოვნის შემცირებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ინფლაციის 2021 წლის ბოლოსთვის 3 პროცენტიან ნიშნულთან მიღწევას.

დიაგრამა 8: წლიური ინფლაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 9: ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

ლარის გაუფასურების მიუხედავად, ადგილობრივი ინფლაცია აჭარბებს იმპორტირებულ ინფლაციას. 2020 წლის მესამე კვარტალის ჭრილში, ადგილობრივი ინფლაცია გაუტოლდა 2.7 პროცენტს, ხოლო იმპორტირებულმა ინფლაციამ შეადგინა 0.4 პროცენტი (ყველაზე დაბალი ბოლო 3 წლის განმავლობაში). აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია სურსათზე ფასის მომატებით და სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ჯგუფის მიერ შეფარდებით მაღალი წონის დაკავებით.

დიაგრამა 10: ინფლაციის დეკომპოზიცია, III კვარტალი, 2020




რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა

COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესიის გამო შეფერხებულია ეკონომიკური აქტივობა როგორც განვითარებულ, ასევე - მზარდ და განვითარებად ქვეყნებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოქტომბერში განახლებული პროგნოზის თანახმად, გლობალური ზრდა 2020 წელს გაუტოლდება -4.4 პროცენტს, რაც ამავე წლის ივნისში გამოქვეყნებულ პროგნოზთან შედარებით მეტია 0.5 პროცენტული პუნქტით. თუმცა, ამავე დროს, სსფ-ს მიხედვით, 2021 წელს მოსალოდნელია გლობალური ზრდა 5.2 პროცენტის მნიშვნელობით, რაც 0.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია ივნისის პროგნოზთან შედარებით. განახლებული პროგნოზის მიხედვით, განვითარებული ქვეყნების მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა უდრის -5.8 პროცენტს 2020 წელს, და 3.9 პროცენტს 2021 წელს. ამავე დროს, მზარდი და განვითარებადი ქვეყნების მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 2020 წელს უდრის -3.3 პროცენტს, ხოლო 2021 წელს აღწევს 6 პროცენტს. სსფ-ის ოქტომბრის პროგნოზის მიხედვით, ევროზონის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეადგენს -8.3 პროცენტს, ხოლო 2021-ში კი 5.2 პროცენტს. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია COVID-19 პანდემიის გამო ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეცილობით, ინვესტიციებისა და ექსპორტის შემცირებით, რაც გამოწვეულია სავაჭრო პარტნიორების მოთხოვნის შემცირებით. მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო სექტორის გამოშვება და საცალო გაყიდვები. ინფლაციის დონე 2020 წელს 0.4 პროცენტი იქნება, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 0.9 პროცენტი.


თურქეთისთვის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინვესტიციების შემცირება და გაუარესებული სავაჭრო ბალანსი. ამის ფონზე, საგანგებო ვითარებამ და გლობალურმა პანდემიამ დამატებითი ზეწოლა მოახდინა თურქეთის ეკონომიკაზე. სსფ-ს პროგნოზის მიხედვით, 2020 წლის რეალური ეკონომიკური ზრდა თურქეთში -5 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო 2021-ში კი 5 პროცენტი იქნება. თურქული ლირის გაუფასურება ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციაზე. სსფ-ის შეფასებით, 2020 და 2021 წლებში, ინფლაციის მოსალოდნელი მნიშვნელობა შეადგენს 11.9 პროცენტს. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის შეფარდება მშპ-თან შემცირდება 2019 წელთან შედარებით 1.2 პროცენტიდან -3.7 პროცენტამდე 2020 წელს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -0.9 პროცენტი. განსაკუთრებით

დიაგრამა 11: ეკონომიკური ზრდა რეგიონში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი


დიაგრამა 12: ინფლაცია რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: A Long and Difficult Ascent. Washington, DC, October 2020.
International Monetary Fund. World Economic Outlook Update: A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery. Washington, DC, June 2020.

დიაგრამა 13: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



დიაგრამა 14: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: A Long and Difficult Ascent. Washington, DC, October 2020.
International Monetary Fund. World Economic Outlook Update: A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery. Washington, DC, June 2020.

მძიმე აღმოჩნდა 2020 წელი რუსეთისთვის, რადგან კორონავირუსის პანდემიასთან ერთად, ეკონომიკურ მდგომარეობაზე ასევე უარყოფითად იმოქმედა ნავთობის საერთაშორისო ფასების შემცირებამ. შემცირდა ნავთობმოპოვების და გადამუშავების სექტორების გამოშვება, რამაც გაუარესებულ საგარეო მოთხოვნასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტი. სსფ-ის შეფასებით, 2020 წლის ეკონომიკური ზრდა რუსეთში -4.1 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო 2021-ში კი მოსალოდნელია 2.8 პროცენტის ზრდა. ნავთობის ფასის შემცირების გამო, მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტი, რაც სსფ-ის პროგნოზის მიხედვით 2020 წელს გაუტოლდება მშპ-ს -5.3 პროცენტს, ხოლო 2021 წელს გაუტოლდება -2.6 პროცენტს. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის შეფარდება მშპ-თან შემცირდება 2019 წელთან შედარებით 3.8 პროცენტიდან 1.2 პროცენტამდე 2020 წელს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 1.8 პროცენტი.

ნავთობის ფასის შემცირება და კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა ასევე აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სსფ-ის შეფასებით, 2020 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდა -4 პროცენტი იქნება, ხოლო 2021 წელს კი 2 პროცენტი. 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტის შეფარდება მშპ-თან, 8.1 პროცენტიდან -6.3 პროცენტამდე 2020 წელს, და გაუტოლდება -5.8 პროცენტს 2021 წელს. ასევე მნიშვნელოვანი შემცირებაა მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-თან შეფარდებაში, რომლის მნიშვნელობა 2019 წელს შეადგენდა 9.1 პროცენტს, ხოლო სსფ-ის შეფასებით 2020 წელს გაუტოლდება -3.6 პროცენტს, და 2021 წელს მიაღწევს -4.4 პროცენტს. მძიმე ეპიდემიოლოგიური სურათის, შემცირებული ინვესტიციებისა და ექსპორტის გამო, სომხეთის ეკონომიკური ზრდა 2020 წელს განისაზღვრა -4.5 პროცენტის დონეზე, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 3.5 პროცენტის ზრდა. ბოლო პერიოდში შემცირებული ექსპორტისა და გაზრდილი იმპორტის ფონზე, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის შეფარდება მშპ-თან სსფ-ის ოქტომბრის პროგნოზის მიხედვით შეადგენს -8.8 პროცენტს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -7.3 პროცენტი. მნიშვნელოვანი რისკის წყაროს რეგიონში წარმოადგენს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საომარი მოქმედებები, რომელიც ორივე ქვეყნისთვის გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს და შეამცირებს რეგიონისადმი სანდობას უცხოელი ინვესტორების მხრიდან.



საგარეო სექტორი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2020 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 11.1, ხოლო მეორე კვარტალში 9.4 პროცენტი შეადგინა. იმის ფონზე, რომ 2019 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 5.4 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, 2020 წლის პირველ ნახევარში გამოვლენილი ტენდენცია მნიშვნელოვან გაუარესებას წარმოადგენს. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია კორონა პანდემიის გამო ჩაკეტილი საზღვრების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსით. ბოლოს პერიოდში, იმპორტირებულ საქონელზე მზარდ მოთხოვნას მომსახურების ექსპორტის მზარდი მიწოდება უზრუნველყოფდა, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის საგარეო ტურიზმი თითქმის ნულამდე შეამცირა.


მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში უმჯობესდებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2019 წლის მესამე კვარტალში, ადგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტს 0.4 პროცენტის დონეზე. რაც შეეხება 2019 წლის ბოლო კვარტალსა და 2020 წლის პირველ ნახევარს, დეფიციტის დაფინანსებაში საგარეო ვალი საკმაოდ დიდი წვლილით მონაწილეობს.

საგარეო ვალი


მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

2020 მეორე კვარტალის ბოლოს მთლიანი საგარეო ვალი გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი შიდა პროდუქტის 111.5 პროცენტი


დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %




დიაგრამა 16: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება




დიაგრამა 17: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება




დიაგრამა 18: საგარეო ვალი



დიაგრამა 19: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



დიაგრამა 20: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



შეადგინა. ზრდა ძირითადად გამოწვეულია სამთავრობო სექტორის ვალის ზრდით.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის ალბით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. 2020 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით, ვალის მშპ-თან შეფარდება გაზარდილია 7.6 პროცენტული პუნქტით. ცვლილებაში მთავარი ფაქტორი იყო გაცვლითი კურსის ცვლილება (+5.3 პროცენტული პუნქტი) და საოპერაციო ცვლილება (+6.8 პროცენტული პუნქტი). თუმცა, ფასისმიერმა და სხვა ფაქტორებმა წვლილი შეიტანეს ვალის შემცირებაში, მათ შორის ფასის ეფექტი იყო -2.6 პროცენტული პუნქტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2020 წლის მეორე კვარტალში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 238 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელის ტოლია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წლის მეორე კვარტალში განხორციელდა ძირითადად გაერთიანებული სამეფოდან (24.8 პროცენტი), ნიდერლანდიდან (22.4 პროცენტი), თურქეთიდან (13.3 პროცენტი), აშშ-დან (8.4 პროცენტი) და სლოვაკეთიდან (6.8 პროცენტი). რაც შეეხება სექტორებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39.2 პროცენტი შეადგინა საფინანსო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, ენერგეტიკაში - 12.5 პროცენტი, მშენებლობაში განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 11.7 პროცენტი, სამთომომპოვებით მრეწველობაში - 11.6 პროცენტი და დამამუშავებელ მრეწველობაში - 8.8 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან მთლიან ინვესტიციებში ფიქსირდება რეინვესტირების შედარებით მაღალი დონე, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად ალიქმება ინვესტიციების მიერ და მეტი ინვესტიორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. კორონა

პანდემიის მიუხედავად, 2020 წლის მეორე კვარტალში, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, როგორც მთლიანი ინვესტირების, აგრეთვე რეინვესტირების მაღალი დონე დაფიქსირდა. კერძოდ, მისმა მოცულობამ შეადგინა 145 მლნ აშშ დოლარი, რაც 2019 წლის მეორე კვარტალის მაჩვენებელს 63.5 პროცენტით აღემატება.


საბარემპო ვაჭრობა

2020 წლის პირველ სამ კვარტალში, მსოფლიოში გავრცელებული ეპიდემიის და ქვეყნების უმრავლესობის მიერ შეზღუდვების დაწესების ფონზე, შემცირდა საგარეო მოთხოვნა. აღნიშნული ფაქტორების უარყოფით გავლენა საქართველოს ექსპორტზე, ფულად გზავნილებსა და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავალზე იქნება უარყოფითი გარკვეული დროის განმავლობაში ეპიდემიის ირგვლივ არსებული გაურკვევლობის გამო. ამავე დროს, ქვეყნის შიგნით შემცირებული ეკონომიკური საქმიანობის გამო, ასევე შემცირდა იმპორტის მოცულობა. 2020 წლის მესამე კვარტალში ნომინალური ექსპორტის წლიურმა ზრდამ შეადგინა -5.0 პროცენტი და გაუტოლდა 899 მლნ აშშ დოლარს, ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ შეადგინა 14.1 პროცენტი, რომელშიც რეალურმა ზრდამ შეადგინა 11.6 პროცენტი. ამავე დროს, იმპორტის წლიურმა ზრდამ შეადგინა -12.8 პროცენტი და გაუტოლდა 2,103 მლნ აშშ დოლარს, ხოლო აქედან რეალურმა ზრდამ შეადგინა -9.7 პროცენტი.

2020 წლის მესამე კვარტალში, საქონლის იმპორტი - 21.7 (-6.3 პ.პ. წილი) პროცენტით, შუალედური საქონლის იმპორტი 2.2 პროცენტით (-0.8 პ.პ. წილი), ხოლო სამომხმარებლო საქონლის იმპორტი შემცირდა 15.2 პროცენტით (-4.9 პ.პ. წილი). 2020 წლის მესამე კვარტალში, ტრადიციული საქონლის ექსპორტი გაიზარდა 0.7 პროცენტით, ხოლო ნედლეულის ექსპორტი შემცირდა 21.7 პროცენტით.


2020 წლის მესამე კვარტალში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 209.3 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 22.1 პროცენტი), მეორე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 120.1 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 12.7 პროცენტი), ხოლო მესამე

დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 22: FDI-ის განაწილება, 2020 კვ3




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 23: საგარეო ვაჭრობა - იანვარი-სექტემბერი, 2020




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 24: ადგილობრივი ექსპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 25: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

ადგილზე - ფეროშენადნობები 62.7 მლნ. აშშ დოლარით (6.6 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი შეადგინა მსუბუქი ავტომობილების ჯგუფმა 210.8 მლნ აშ დოლარით (მთლიანი იმპორტის 10.0 პროცენტი), მეორე ადგილზე სპილენძის მადნებმა და კონცენტრატები 181.6 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 8.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ნავთობი და ნავთობპროდუქტები 135.0 მლნ. აშშ დოლარით (6.4 პროცენტი).

ტურიზმი

2019 წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1.4 პროცენტით. აღნიშნული შედარებით მცირე ზრდა გამოწვეულია ივლისში დაწყებული ფრენების აკრძალვით რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით. თუმცა, ამავე დროს, სხვა ქვეყნებიდან გაზრდილმა შემოსავალმა მოახერხა აღნიშნული უარყოფითი შოკის გავლენის შემსუბუქება. ამავე დროს, ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წელს წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით.


COVID-19 ეპიდემიის გავრცელებიდან თავის არიდების მიზნით, მარტში მოხდა საზღვრების ჩაკეტვა და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტა საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული შეზღუდვის შედეგად მკვეთრად შემცირდა საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა. შესაბამისად, 2020 წლის მესამე კვარტალში მნიშვნელოვნად არის შემცირებული როგორც ვიზიტორების რაოდენობა, ასევე - ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი. 2020 წლის სექტემბერში ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 52 ათასი შეადგინა, მაშინ როდესაც გასული წლის სექტემბერში იგივე მაჩვენებელი 839 ათასი იყო. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 95.1 პროცენტით შემცირდა და 15.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მესამე კვარტალის მონაცემებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი წლიურად შემცირდა 96.2%-ით და გაუტოლდა 42.5 მლნ აშშ დოლარს, ხოლო მოგზაურთა რაოდენობა წლიურად შემცირდა 96.4%-ით და შეადგინა 148 ათასი კაცი. აღსანიშნავია, რომ საზღვრების გახსნამდე და ტურისტული მიმოსვლების განახლებამდე მოსალოდნელია, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები განაგრძობს შემცირებას.



ფულადი გზავნილები


2020 წლის მესამე კვარტალში წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 495.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 26.3 პროცენტით მეტია წინა წლის მესამე კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით შეინიშნება 48.0 პროცენტიანი ზრდა. აღსანიშნავია, რომ მესამე კვარტალში გზავნილების ზრდა, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ძირითადად განპირობებულია ევროპის ქვეყნებიდან, უკრაინიდან და აშშ-დან გზავნილების ზრდით. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, ფულადი გზავნილები ამ ქვეყნიდან დიდად არ შეცვლილა (თუმცა წინა კვარტალთან შედარებით გაიზარდა 11.6 პროცენტით). გარდა ამისა, წლის დასაწყისში ნავთობზე ფასების შემცირებამ დამატებითი დარტყმა მიაყენა ისეთი ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებული ნავთობზე. აღნიშნული უარყოფითი შედეგი განსაკუთრებით გამოჩნდა პირველ კვარტალში, როდესაც რუსეთის შემთხვევაში შესამჩნევია იყო რუბლის მკვეთრი გაუფასურება, რაც აისახა რუსეთიდან გზავნილების მოცულობაზე. მეორე კვარტალში კი, მიუხედავად იმისა, რომ აპრილის ბოლოს დაიწყო ნავთობზე ფასების მცირედით ზრდა და რუბლიც დასტაბილურდა, რუსეთიდან გზავნილები კვლავ შემცირდა. რაც შეეხება მესამე კვარტალს, გზავნილების მნიშვნელოვან გაუმჯობესებაში ძირითადი წვლილი შეიტანა უკრაინამ, იტალიამ და აშშ-მ. ამასთან, შემცირება დაფიქსირდა ყირგიზეთიდან. უკრაინიდან ფულადი გზავნილები ივლისი-სექტემბერში 300 პროცენტზე მეტად იზრდებოდა და სექტემბერში 410 პროცენტით გაიზარდა ზრდაში წვლილმა კი 7.4 პროცენტი შეადგინა. მესამე კვარტალში იტალიიდან და ამერიკიდან გზავნილები საშუალოდ 37 და 47 პროცენტით გაიზარდა, შესაბამისად, ზრდაში წვლილმა კი 6.4 და 6.0 პროცენტი შეადგინა. ყირგიზეთიდან ფულადი გზავნილები შემცირდა 75 პროცენტით და კვარტალურ ზრდაში უარყოფითი 1.3 პროცენტიანი წვლილი შეიტანა.

დიაგრამა 27: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 28: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 29: წმინდა ფულადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის შემოსულობებში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველოს მჭიდრო დამოკიდებულება აქვს რუსეთთან, თურქეთთან, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებთან.

2020 წლის პირველი და მეორე კვარტლის საგადასახდელო ბალანსის მიხედვით გაზრდილია მხოლოდ ევროკავშირზე დამოკიდებულება, ხოლო შემცირებულია მთლიანი დამოკიდებულება რუსეთზე, უკრაინასა და თურქეთზე. დამოკიდებულების შემცირება ძირითადად გამოწვეულია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის მკვეთრი კლებით. აღსანიშნავია ქვეყნებზე დამოკიდებულების კომპოზიციის ცვლილებაც. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შეიმჩნეოდა ტრანსფერების წილის შემცირება და ტურიზმის და ექსპორტის წილების ზრდა. 2019 წლის მეორე ნახევარში რუსეთის მიერ დაწესებულმა ფრენების აკრძალვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტების რაოდენობა რუსეთიდან, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მიმდინარე ანგარიშში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი რუსეთიდან. თუმცა სხვა ქვეყნებიდან მგზავრების რაოდენობის ზრდამ აღნიშნული დანაკლისი აანაზღაურა. რაც შეეხება 2020 წელს, 2020 წლის პირველ ნახევარში ტურიზმის წილი შემცირებულია და ნულთან ახლოსაა. ექსპორტის წილი მცირედით გაიზარდა 2020 წლის პირველ ორ კვარტალში. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირზე დამოკიდებულება გაიზარდა ტურიზმის შემცირების შედეგად, რაც გამოწვეულია როგორც ექსპორტის, ასევე - ფულადი გზავნილების წილის ზრდით.


დიაგრამა 30: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

გაცვლითი კურსი

დიაგრამა 31: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



დიაგრამა 32: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



კორონა ვირუსის პანდემიისა და ნავთობის ფასის საერთაშორისო ვარდნის ფონზე აშშ დოლარი გამყარდა განვითარებადი ქვეყნების ვალუტების მიმართ, რაც შეიმჩნევა რეგიონის ქვეყნების ვალუტების შეწონილი ინდექსის დაღმავალ ტენდენციაშიც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლარი გაუფასურდა რეგიონის ქვეყნების ვალუტების მიმართაც, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ტურიზმს საქართველოს ეკონომიკაში უფრო მნიშვნელოვანი წილი უკავია, ვიდრე - რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაში, არსებულმა პანდემიამ კი ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის სექტორს მიაყენა.

2020 წლის მესამე კვარტალში ლარის გაცვლით კურსი დოლარის მიმართ გაუფასურდა 6.3 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხოლო გამყარდა 1.1 პროცენტით 2020 წლის მეორე კვარტალთან შედარებით. ამავე დროს, ლარის გაცვლითი კურსი ევროს მიმართ გაუფასურდა 11.6 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 5 პროცენტით წინა პერიოდთან შედარებით. სექტემბრის მეორე ნახევარში შეინიშნებოდა ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლით კურსის გაუფასურება და 30 სექტემბრის მდგომარეობით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი თავისი საშუალოვადიანი ტრენდიდან -8.3 პროცენტით არის გადახრილი. რაც შეეხება ფასების დონით კორექტირებულ გაცვლით კურსს, სექტემბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის მნიშვნელობა ტრენდიდან -4.5 პროცენტით იყო გადახრილი.

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლით კურსების ცვლილება

	30 სექტემბერი, 2020	30 სექ 2020 - 1 იან 2020	30 სექ 2020 - 1 იან 2019
ევრო	3.8415	▼ -16.3%	▼ -20.4%
აშშ დოლარი	3.2878	▼ -12.8%	▼ -18.7%
თურქული ლირა	0.4219	▲ 14.2%	▲ 19.8%
რუსული რუბლი	0.0417	▲ 10.5%	▼ -8.0%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	113.51	▼ -4.8%	▼ -11.2%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (სექტემბერი, 2020)	110.27	▼ -2.6%	▼ -7.8%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფისკალური საქმე

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2020 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7,675.8 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8,069 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 105.1 პროცენტს.

■ საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2,395.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2,432.1 მლნ ლარი) 98.5 პროცენტია.

■ მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 744.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (691.9 მლნ ლარი) 107.6 პროცენტია.

■ დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 3,452.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3,254.3 მლნ ლარი) 106.1 პროცენტია.

■ აქციზის სახით მობილიზებულია 1073.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (922 მლნ ლარი) 116.5 პროცენტია.

■ იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 55.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (52 მლნ ლარი) 106.7 პროცენტია.

■ ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 265.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (294.4 მლნ ლარი) 90.1 პროცენტია.

■ სხვა გადასახადი შეადგენს 81.9 მლნ ლარს.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 112.9 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 122.7 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.7 პროცენტი.


სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 745.5 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 773.8 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.8 პროცენტი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 138.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (116.9 მლნ ლარი) 118.4 პროცენტია.


ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 120.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (57.3 მლნ ლარი) 209.8 პროცენტია.

საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი,


დიაგრამა 33: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



დიაგრამა 34: ნაერთი ბიუჯეტის სალდო




დიაგრამა 35: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 36: ნაერთი ბუჯეტის ხარჯები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რაც 2020 წლის 9 თვის მონაცემებით შეადგენს 90 პროცენტს. პირველ სამ კვარტალში ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 8,069 მლნ ლარი, რაც 4.8 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურად შემცირდა 6.4 პროცენტით და გაუტოლდა 2,395.7 მლნ ლარს. ყველაზე მაღალი ზრდა შეინიშნება მოგების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის სახით, რომელიც გაიზარდა 10.4 პროცენტით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 744.3 მლნ ლარს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში ყველაზე დიდი წილი უკავია დღგ-დან მიღებულ შემოსავალს, რომლის წილი 2020 წლის პირველ 9 თვეში შეადგენს 42.8 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი უდრის -9.5 პროცენტს. ასევე 27.5 პროცენტით შემცირდა ქონების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი და შეადგინა 265.4 მლნ ლარი. აქციზის გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი კი გაიზარდა 8.1 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და შეადგინა 1,073.8 მლნ ლარი, რაც გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის 13.3 პროცენტია. კლება დაფიქსირდა იმპორტის გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში, რომლის წილი გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში შეადგენს 0.7 პროცენტს და წლიურად შემცირდა 1.6 პროცენტით.

2020 წლის 9 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხარჯები გაიზარდა 22.2 პროცენტით და შეადგინა 9,481.1 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 44.2 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი ტოლია 36.1 პროცენტი. აღნიშნული ზრდა გარკვეულწილად გამოწვეულია პანდემიის პირობებში შემუშავებული სოციალური ღონისძიებებით. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 15.6 პროცენტს და შეადგინა 888.6 მლნ ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ხარჯების 9.4 პროცენტს. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, შრომის ანაზღაურებას (მთლიანი ხარჯების 14.3 პროცენტი), საქონელსა და მომსახურებას (მთლიანი ხარჯების 13.3 პროცენტი), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 5.7 პროცენტი) და

სხვა ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 12.9 პროცენტი), წლის პირველ 9 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 14.3 პროცენტით, 13.3 პროცენტით, 5.7 პროცენტით და 12.9 პროცენტით მეტი იქნა მათზე მიმართული.

2020 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7,157 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7,638.6 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.7 პროცენტი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 79.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (72.9 მლნ ლარი) 109.3 პროცენტია. ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 114.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (57.3 მლნ ლარი) 200.5 პროცენტია

ცხრილი 2: 2020 წლის 9 თვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტიური	შესრულება %-ში
შემოსავლები	7,157,012.0	7,638,596.4	106.7%
ხარჯები	9,415,373.6	8,777,611.4	93.2%
საოპერაციო საღდო	-2,258,361.6	-1,139,015.0	50.4%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,461,216.5	1,399,434.2	95.8%
მთლიანი საღდო	-3,719,578.0	-2,538,449.2	68.2%
ფინანსური აქტივების ცვლილება	714,331.2	1,708,417.7	239.2%
ვალდებულებების ცვლილება	4,433,909.3	4,246,866.9	95.8%
ზრდა	5,216,620.7	4,960,511.5	95.1%
საშინაო	1,585,000.0	1,590,125.3	100.3%
საგარეო	3,631,620.7	3,370,386.2	92.8%
კლება	782,711.4	713,644.6	91.2%
საშინაო	34,129.1	34,129.1	100.0%
საგარეო	748,582.3	679,515.5	90.8%

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ცხრილი 3: 2020 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტიური	შესრულება %-ში
გადასახადები	6,577,378.7	6,973,576.6	106.0
საშემოსავლო გადასახადი	2,246,420.3	2,221,629.4	98.9
მოგების გადასახადი	691,859.0	744,334.9	107.6
დღგ	2,635,989.2	2,796,388.7	106.1
აქციზი	922,011.2	1,073,755.1	116.5
იმპორტის გადასახადი	52,000.0	55,502.0	106.7
სხვა გადასახადი	29,099.0	81,966.5	281.7

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




საქართველოს სახელმწიფო ვალი

2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 27,948.6 მლნ ლარი, მათ შორის:


- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 5,717.4 მლნ ლარს, მათ შორის:
 - ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეპ-ისთვის“) – 200.8 მლნ ლარი;
 - სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 160.0 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 807.5 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 4,549.0 მლნ ლარი;
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 22,231.3 მლნ ლარს.

2020 წლის 3 კვარტლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 42 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 2,854.3 მლნ ლარის მოცულობით, აქედან 2, 5 და 10 წლის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციები ემიტირებული 2,054.3 მლნ ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს ე. წ. „ბენჩმარკ ბონდებს“. ამავე პერიოდში დაიფარა 1,404.5 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 10.2 პროცენტი იყო 6 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 17.9 პროცენტი იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 22.1 პროცენტი იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 25.2 პროცენტი იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 24.7 პროცენტი - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა თანხამ 2,829.6 მლნ ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 1,239.4 მლნ ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების ზრდამ შეადგინა 1,590.1 მლნ ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის დაგეგმილ მაჩვენებელთან შედარებით 100.3 პროცენტია.


დიაგრამა 37: საქართველოს სახელმწიფო ვალი




სახელმწიფო საგარეო ვალი



მრავალმხრივი



ორმხრივი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მონეტარული სექტორი

პერძო სექტორის ლარიზაცია



სესხების ლარიზაციის მზარდი ტენდენცია 2020 წლის პირველ 9 თვეში 42 პროცენტის ირგვლივ დასტაბილურდა. აღსანიშნავია რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. 2020 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 57.7 პროცენტი შეადგინა, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე - 26.7 პროცენტი, ხოლო მთლიანად სესხების ნაშთებზე - 42.6 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური, ასევე - სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2020 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 86.9 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია გაუტოლდა 32.1 პროცენტს.

განსაკუთრებული ცვლილება არ შეინიშნება დეპოზიტების ლარიზაციის ტენდენციაში დებიტორების მიხედვით. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2020 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციამ 37.8 პროცენტი შეადგინა, იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია ამავე პერიოდში 52.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია - 24.2 პროცენტს.



აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ანგარიშების ლარიზაციაში (გაცვლით კურსის ეფექტის გამორიცხვით) შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა 2020 წლის პირველი კვარტლისათვის, მაგრამ ეს შემცირება დაბალანსებული იყო ვადიანი დეპოზიტების ნაშთების ლარიზაციის მზარდი ტენდენციით, რამაც საბოლოო ჯამში დეპოზიტების ლარიზაცია სტაბილურ დონეზე შეინარჩუნა. მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 2020 წლის

დიაგრამა 38: სესხების ლარიზაცია





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 39: დეპოზიტების ლარიზაცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 40: სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 41: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბრის დასაწყისისთვის გაუტოლდა 42.9 პროცენტს. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 31.9 პროცენტია, ხოლო ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია - 38.2 პროცენტი.

სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის წლიური ზრდა 2020 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით 2019 წელთან შედარებით 13.6 პროცენტი შეადგინა. იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა კი წინა თვესთან შედარებით 1.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 15 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 12.6 პროცენტს შეადგენს.

2020 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14.5 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტაში გაცემული სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით გაიზარდა და გაუტოლდა 13 პროცენტს გაუტოლდა.

2020 წლის ოქტომბრისთვის იპოთეკური სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით 1.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 19.9 პროცენტი შეადგინა.

დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2020 წლის ოქტომბერში 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19 პროცენტს შეადგენს, ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა 35 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა 2 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 11 პროცენტი. 2020 წლის ოქტომბერში ფიზიკური პირების დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 12 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 28 პროცენტს.


ბოლო პერიოდის განმავლობაში ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ზრდა მნიშვნელოვნად გაიზარდა ემსაძე კვარტალში და 2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით წლიურმა ზრდამ 35 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ზრდაში კი,



აღმავალი ტენდენცია შეინიშნება, რომლის მნიშვნელობაც ოქტომბრის დასაწყისში 11 პროცენტს გაუტოლდა. დეპოზიტების ზრდის ძირითად დეტერმინანტს ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდა წარმოადგენდა.


რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშების წლიური ზრდა მნიშვნელოვნად შემცირდა მიმდინარე კვარტალის განმავლობაში და ოქტომბრის დასაწყისში 9 პროცენტი შეადგინა, მიმდინარე ანგარიშების ზრდის ტემპის შენელება დაბალანსებული იყო ვადიანი დეპოზიტების ნაშთების ზრდაში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი მატებით, პირველი ოქტომბრის მდგომარეობით ვადიანი დეპოზიტების ნაშთების ზრდა 31.5 პროცენტს გაუტოლდა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთლიანი დეპოზიტების ზრდა. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ 10.1 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა 42: დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 43: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 44: სუბ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 5 აგვისტოს რეგინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით შემცირების გადაწყვეტილება მიიღო და განისაზღვრა 8 პროცენტით. ხოლო 2020 წლის 16 სექტემბერს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეგინანსირების განაკვეთის 8 პროცენტის ნიშნულზე შენარჩუნების შესახებ. ეროვნული ბანკის მიხედვით, წლის დარჩენილ პერიოდში წლიური ინფლაციის შემცირების ტენდენცია გაგრძელდება და 2021 წლის პირველ ნახევარში მიზნობრივ დონეს ჩამოცდება. ინფლაციის მოსალოდნელ ცვლილებას, ძირითადად, სუსტი ერთობლივი - მეტწილად საგარეო - მოთხოვნა განსაზღვრავს. თუმცა კომიტეტმა ასევე გაითვალისწინა ინფლაციის მოლოდინების კუთხით არსებული რისკები, რომლებიც სავალუტო ბაზრებზე გაზრდილ მერყეობასა და მიზნობრივზე მაღალი ინფლაციის მაჩვენებლის ხანგრძლივად შენარჩუნებას თან ახლავს. ეროვნული ბანკის თანახმად, შემცირების მიუხედავად, მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებული რჩება, რაც საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან დაბრუნებას უზრუნველყოფს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი გამკაცრებული პოლიტიკიდან გამოსვლას ეტაპობრივად განახორციელებს და შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შემცირდება ინფლაციის მოლოდინები.

საპროცენტო განაკვეთები

2020 წლის ოქტომბრისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.2 პროცენტს უტოლდება.


2020 წლის ოქტომბერში იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2.5 პროცენტს. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე გაუტოლდა 2.9 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.4 პროცენტს.

2020 წლის ოქტომბერში საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტი განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 20 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 26.2 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2020 წლის ოქტომბერში 16.9 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 18.2 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 8.1 პროცენტს.



იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2020 წლის სექტემბრის ბოლოს 12.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 6.9 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 11.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.3 პროცენტი.

დიაგრამა 45: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 46: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული, როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

